

- 3.4. ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა, მხოლოდ 2004 და 2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირებში.
- 3.5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგნაირი პრიორიტეტული პრინციპით:
- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა)
 - მოგებათა მეტი რაოდენობა;
 - ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
 - გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;
 - სტუმრად გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;
 - ფეირ-პლეის შედეგები;
 - თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარია ღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწეობა კენჭისყრა.
- 3.6. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია, შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არა უმეტეს 18 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი მაისურზე; სავალდებულოა გუნდის ყველა ფეხბურთელს მაისურის მარცხენა მკლავზე ჰქონდეს „VTB“ ბანკის ლოგო.
- 3.7. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი;
- 3.8. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა), მწვრთნელი, ექიმი, სათადარიგო ფეხბურთელები (7 მოთამაშე), რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა ეკრძალება;
- 3.9. მატჩის მსაჯები ვალდებული არიან, შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მოთამაშის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მოთამაშის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ და ფეხბურთელის შეცვლის დროს მოედანზე მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია, მოახდინოს მოთამაშის ბარათის და მოთამაშის ვიზუალური შემოწმება.
- 3.10. იკრძალება ერთი და იგივე ფეხბურთელის ორ სხვადასხვა გუნდში თამაში.
- 3.11. გუნდებს უფლება ეძლევათ თავისივე კლუბის სამი ფეხბურთელის დამატებისა. თბილისის ლიგის, უფროსი და უმცროსი ასაკის გუნდებიდან, თუ ფეხბურთელის ასაკი შეესაბამება იმ გუნდის ასაკს, სადაც აპირებს ფეხბურთელი თამაშს.
- 3.12. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს. მსაჯები აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯების მოთხოვნით ფორმა უნდა

